

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმომდევნადი მოსალოდნელი

დღეს მოსალოდნელია წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდა მთიან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 17-22 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 20 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 752 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგაამოშვებით წვიმა.

პირველი ნიუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი კატარის სახელმწიფოს დედაქალაქ დოჰაში ვიზიტით იმყოფება. ირაკლი ღარიბაშვილი მადალი დონის ეკონომიკური ფორუმს დაესწრება, რომელიც კატარის ემირის პატრონაჟით იმართება. მთავრობის მეთაური შესაბამის განვლულ დისკუსიაში სიტყვით გამოვა, დაგეგმილია ორმხრივი მაღალი დონის შეხვედრები. მანამდე, ირაკლი ღარიბაშვილი სომხეთში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა, სადაც ქვეყნის პრემიერ ნიკოლ ფაშინიანს შეხვდა.

გერც „ნაციონალური მოძრაობა“ და გერც ერთი ჯგუფი მიკროფონსაც ვერ მიეკარება, რადგან ახლა არ არის პოლიტიკური კვლევების დრო, ახლა არ არის ქულების დაწერის დრო, - განაცხადა „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთმა ლიდერმა პაატა მანჯგალაძემ საქართველოს პარლამენტთან აქციის „შინ ვერობისკენ“ დაწყებამდე. როგორც მან აღნიშნა, „ახლა არის ერთიანობის დრო ისტორიული შანსის პირობებში, რომ არა დაპირისპირებით და ვინმეს განადგურებით, არამედ ეროვნული კონსენსუსით და ერთიანობით საქართველომ ისტორიულ მიზანს მიაღწიოს“.

დღეს ყველანი შევიკრიბებით პარლამენტის წინ. ეს დღე იქნება ისტორიული სახალხო ერთობის ნიშნად. ჩვენი მომავალი არის ერთობა, ამიტომ ყველა დონეს ვიხმართ, რომ დაბრკოლებები გადავლახოთ. მოქალაქეებს სიტყვით მიმართავენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ხელოვანები, მეცნიერები, სტუდენტები, ეგროპარლამენტის წევრები და უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები. აქციას დავასრულებთ გვეგებზე საუბრით, - განაცხადა გუშინ „სირცხვილიას“ წევრმა, აქციის „შინ ვერობისკენ“ ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ვიორგი მუჯანაძემ. თბილისის გარდა, აქციები გაიმართა ქვეყნის სხვა ქალაქებშიც.

„ლელოს“ მოთხოვნით, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე „თავისუფალი ტრიბუნა“ დაინიშნა. ესაა სპეციალური საპარლამენტო ფორმატი, როცა ფრაქციას, პოლიტიკურ ჯგუფს უფლება აქვს, სესიის განმავლობაში ორჯერ, 30-წუთიანი გამოსვლით ისარგებლოს, ხოლო პარლამენტის ვალდებულება, მას დაუყოვნებლივ მოუსმინოს. 22 ივნისს პრემიერი ღარიბაშვილი დეპუტატებს სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიშს გააცნობს.

მომავალა ია შველიძე

„ევროპამ კარი გაუღო საქართველოს“

„17 ივნისს ევროკომისიამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება - პირველად გაჩნდა ისტორიული ჩანაწერი, რომ ევროკავშირი, ევროკომისია ევროპულ საბჭოს აძლევს რეკომენდაციას, საქართველოს მიენიჭოს პერსპექტივა იმისთვის, რომ გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა და როგორც ევროკომისიის პრეზიდენტმა ქალბატონმა ურსულამ განაცხადა, ევროპამ კარი გაუღო საქართველოს,“ - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე, რომელიც ევროკომისიის გადაწყვეტილების შეფასებით დაიწყო



მისივე თქმით, ის რეკომენდაციები, რომელიც ქვეყანამ უნდა შეასრულოს, ისედაც იყო ხელისუფლების დღის წესრიგში ჩაწერილი, თუმცა არის სხვა საკითხებიც, რასთან დაკავშირებითაც მუშაობა გაგრძელდება. „როგორც კი პრიორიტეტები და პირობები შესრულდება, როგორც კი საბჭო აღნიშნულ რეკომენდაციებს დაამტკიცებს, რა თქმა უნდა, ჩვენ მაშინვე დავიწყებთ მუშაობას ბრიუსელთან. ამ რეკომენდაციების უდიდესი ნაწილი ისედაც იყო ჩვენს დღის წესრიგში. არის სხვა საკითხები, რომლებსაც, რა თქმა უნდა, ჩვენ ბრიუსელთან გავაგრძელებთ, ვიმუშავებთ და კანდიდატის სტატუსს მივიღებთ“, - აღნიშნა პრემიერმა და განმარტა, თუ რატომ წახალისდნენ უკრაინა და მოლდოვა საქართველოზე მეტად. „ჩვენ კარგად

ვხედავთ, პერსპექტივა და ასევე სტატუსი. ანუ, რეალურად სტატუსს აძლევს ავანსად. ეს არის წახალისებელი ავანსი... ამავდროულად, მათაც სთხოვენ, მოსთხოვენ მთელი რიგი რეფორმების გატარებას. ჩვენს შემთხვევაში არის პირობითი, ჯერ უნდა შევასრულოთ ყველა ის პირობა, რომელიც არის დადებული, ეს რეფორმები განვახორციელოთ, პრიორიტეტები განვახორციელოთ და, რა თქმა უნდა, საქართველოს ამის შემდეგ მიენიჭება სტატუსი... მინდა მივულოცო ჩვენს უკრაინელ და მოლდოველ მეგობარ ხალხს, მინდა ვუსურვო მათ მშვიდობა და ქვეყნის გაერთიანება“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა ყველა ის ხელშეწყობა მიღწევა, რომელიც უკავშირდება საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციას: „რამდენიმეს შევასწავებ ჩვენს ხალხს - ასოცირების ხელშეკრულება, თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმი და ახლა უკვე ევროპული პერსპექტივა და კანდიდატის სტატუსი. ეს ყველაფერი უკავშირდება „ქართული ოცნების“ მმართველობას. ვუსურვებ ჩვენს ქვეყანას მშვიდობას და ქვეყნის გაერთიანებას,“ - განაცხადა პრემიერმა.

მომავალა ანა ჩხიშკაძე

ბათუმის აეროპორტი - ათეულში

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი პირველად ბრიტანული აერო კონსალტინგური კომპანია Skytrax-ის საუკეთესო აეროპორტების რეიტინგში მოხვდა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს აეროპორტების გაერთიანება აცხადებს

პარიზში გამართულ Skytrax World Airport Awards 2022-ზე TAV Georgia-ს მართვაში არსებული ორი აეროპორტი აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო აეროპორტებს შორის დაასახელეს. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი პირველად (მე-5 ადგილი), ხოლო თბილისის (მე-5 ადგილი) ზედიზედ მეცხრედ, აღნიშნულ კატეგორიაში მოხვდა.

თბილისის და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებს მართავს TAV Airports Holding-ის შვილობილი თურქული კომპანია TAVGeorgia, რომელიც საქართველოში საქმიანობა 2005 წელს დაიწყო და მასთან კონტრაქტი 2027 წლამდეა გაფორმებული.

მგზავრთა გამოკითხვის შედეგად, აღმოსავლეთ ევროპის 2022 წლის 10 საუკეთესო აეროპორტად დასახელდა ბუდაპეშტის, ტალინის, ბუქარესტის, რიგის, თბილისის, ბათუმის, კიევის (ბორისპოლი), ბელგრადის, ბრატისლავასა და ზაგრების საერთაშორისო აეროპორტები.

Skytrax - გავლენიანი ბრიტანული საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც მსოფლიოს აეროპორტებსა და ავიაკომპანიებში მომსახურების ხარისხს მრავალი წელია იკვლევს და აფასებს. Skytrax World Airport Awards-ის ექსპერტები მსოფლიოს 550 აეროპორტის 106 სხვადასხვა ეროვნების 13 მილიონზე მეტი მგზავრის შეფასებას ეყრდნობიან.

მელმაც საქართველოში საქმიანობა 2005 წელს დაიწყო და მასთან კონტრაქტი 2027 წლამდეა გაფორმებული.

მგზავრთა გამოკითხვის შედეგად, აღმოსავლეთ ევროპის 2022 წლის 10 საუკეთესო აეროპორტად დასახელდა ბუდაპეშტის, ტალინის, ბუქარესტის, რიგის, თბილისის, ბათუმის, კიევის (ბორისპოლი), ბელგრადის, ბრატისლავასა და ზაგრების საერთაშორისო აეროპორტები.

Skytrax - გავლენიანი ბრიტანული საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც მსოფლიოს აეროპორტებსა და ავიაკომპანიებში მომსახურების ხარისხს მრავალი წელია იკვლევს და აფასებს. Skytrax World Airport Awards-ის ექსპერტები მსოფლიოს 550 აეროპორტის 106 სხვადასხვა ეროვნების 13 მილიონზე მეტი მგზავრის შეფასებას ეყრდნობიან.



აღსანიშნავია, რომ ცენტრალური აზიის კატეგორიაში გაიმარჯვა ბაქოს აეროპორტმა, ხოლო ერევნის აეროპორტმა მე-4 ადგილი დაიკავა.

მომავალა ანა ჩხიშკაძე

„(ა)იპ «აგროსერვისსენტრს» ახალი ხელმძღვანელი კვავს“

«მჯერა, ერთად შევკლავთ ღაპნაერთ ისეთი ისტორია, რომლითაც ყველა იამაყავს»

«გვინდა ევროკავშირის სტატუსი? უნდა შევასრულოთ დათქმული 12 პუნქტი»

ბათუმელ აკრობატთა ნაკრებმა

გამოიწერეთ ბაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლოთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლოთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.





სიხლავი - ქობულეთის მუნიციპალიტეტში

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ გვარაში აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, 16 ჰექტარზე ლურჯი მოცვის ბაღი გაშენდა

აჭარაში წელს კენკროვანი კულტურის გაშენება 80%-ით ფინანსდება. 2021-2022 წლებში 91 ფერმერი დაუფინანსდა კენკროვანი კულტურის, ლურჯი მოცვის ბაღის გაშენება. ლურჯი მოცვი 27.4 ჰა ფართობზე მოეწყო. გვარაში მოწეული პროდუქციის რეალიზება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე განხორციელდება. დასაქმებულია 30 ადამიანი.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, ქობულეთის მერი ლევან ზოიძე გვარაში მოსავლის აღების და დაბინავების პროცესს გაეცნენ...

საექსპორტო ბაზრებზე ლურჯი მოცვი დღეს ყველაზე მოთხოვნილი პროდუქტია. აქედან

ან გამოდინარე 2022 წელს აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს, ფერმერების 80%-იანი დაფინანსებით კენკროვანი კულტურების ბაღების გაშენებას. აჭარაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებს ეფექტიანად გამოვიყენებთ, რაც ხელს შეუწყობს იმპორტირებული პროდუქციის ქართული პროდუქციით ჩანაცვლებას, გაიზარდება ექსპორტი, გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, - განაცხადა ზაზა შავაძემ.

სოფელ ლეღვაში თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღი შენდება, რომელიც 105 აღსაზრდელზეა გათვლილი. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში კიდევ 5 საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს, 20 სკოლას სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდება, ახალი სპორტული დარბაზი შეემატა სოფელ ზენისს.

ზედა კვირიკეში გრძელდება ტურისტული



მნიშვნელობის საავტომობილო გზის, ასევე ხიდების, საყრდენი კედლების, დამცავი ნაგებობების მოწყობა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ ქობულეთის მერთან ლევან ზოიძესთან ერთად, სოფელ ლეღვაში მშენებარე საბავშვო ბაღი, სოფელ ზენისის საჯარო სკოლის ახლად აშენებული სპორტული დარბაზი დაათვალიერა. დარბაზი აღჭურვილია თანამედროვე სპორტული ინვენტარით, სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს, რაც მოზარდებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში კომპლექსურად მომზადების შესაძლებლობას მისცემს.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან და ქობულეთის მერთან ერთად ზედა კვირიკეში ტურისტული მნიშვნელობის საავტომობილო გზის მოწყობის პროცესსაც გაეცნო.

ქობულეთში 15 კმ-იან საავტომობილო გზაზე ცემენტ-ბეტონის საფარი დაიგება.

ანბნ ჩხიკვაძე



ინიციატივას მხარი დაუჭირეს

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სხდომაზე მეთრე მოსმენით და მცირედი ცვლილებებით წარადგინა საქართველოს კანონის „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და უცვლელად - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროექტები.

საკანონმდებლო ბაკეტის მიზანი მაჭახლის ხეობის ბიომრავალფეროვნებით, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით გამოჩენილი ტერიტორიების დაცვა, აღდგენა და გონივრული გამოყენების ხელშეწყობაა.

დავით გაბაიძემ უბასუხა კომიტეტის წევრების კითხვებს.

კომიტეტმა, ცვლილების გათვალისწინებით, უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივას მხარი დაუჭირა.



ხულოში «დიდაჭაროზის თასი» გათავაზდა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ინიციატივით, უკვე რამდენიმე წელია სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში «დიდაჭაროზის თასი» თამაშდება

წელს ასპარეზობაში 2005-2006-2007 წლებში დაბადებული ჭაბუკები მონაწილეობდნენ, რომლებსაც ხულოს სასპორტო სკოლის ჭიდაობის დარბაზში უმასპინძლა. შეჯიბრებაში ასპარეზობდნენ ქობულეთის, ქედის, ხულოსა და ბათუმის სასპორტო სკოლების, ქართული ჭიდაობის სექციების აღსაზრდელები.

«დიდაჭაროზის თასი» მეტი სტიმული შემატა მეცენატმა და ქვემოქვეყნებმა გოჩა ირემაძემ, რომელმაც აბსოლუტურ წონაში გამარჯვებული სპორტსმენებისთვის ფულადი ჯილდო დააწესა.

სპორტული პაექრობის დაწყებამდე შეკრებილეს მიესალმნენ აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ჯემალ წულუკიძე, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები გელო ზოიძე, აკაკი მახარაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამაზ აბაშიძე, მეცენატი გოჩა ირემაძე.

ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ქართული ჭიდაობის თანადგომისთვის ჯემალ წულუკიძემ ფედერაციის სახელით საპატიო სიგელები გადასცა ხულოს სასპორტო სკოლის დირექტორს ავთანდილ აბულაძეს, სპორტის ამაგდარებს ნარიმან ჯორბენაძეს, ზურაბ კოჩიალიძეს.



რვა წონით კატეგორიაში გამარჯვებულები გახდნენ ანრი აბაშიძე (ქობულეთი), ზურაბ ბერიძე (ქობულეთი), ლაშა აბაშიძე, ბაჩანა ცინცაძე (ქედა), ომარ აბაშიძე (ქობულეთი), ზურაბ მამულაძე (ქედა), შოთა შაინიძე (ბათუმი). აბსოლუტურ წონაში პირველი-მესამე ადგილები ხულოელმა საბაცეხლაძემ, ანრი ზოიძემ და ქედელმა დავით სურმანიძემ გაიყვეს. ფულადი ჯილდოები, მედლები და საპატიო სიგელები მათ გოჩა ირემაძემ გადასცა.

ქობულეთში ქართული ჭიდაობის სექცია შარშან გაიხსნა და მას სათავეში აჭარის ორგზის ფელეგანი რუსლან შავაძე ჩაუდგა. მისი გამრჩე შრომის შედეგია ის წარმატება, რომელსაც «დიდაჭაროზის თასზე» ქობულეთელმა მოჭიდავეებმა მიაღწიეს. მათ ოთხ წონით კატეგორიაში ჰყავთ გამა-

რჯვებულები, ხოლო 55-კილოგრამიან წონით კატეგორიაში სამივე პრიზიორი ქობულეთელი იყო. გუნდური პირველი ადგილი და «დიდაჭაროზის თასი» სწორედ ქობულეთელმა მოჭიდავეებმა დაისაკუთრეს, მეორე ადგილზე ხულოელები გავიდნენ, მესამეზე კი - ქედელები.

წლევანდელ პირველობაზე შუახვეულმა სპორტსმენებმა პოზიციები დათმეს. მათი გუნდის წევრმა ნიკა ხიმშიაშვილმა სერიოზული ტრავმა მიიღო და საოპერაციოდ ბათუმის კლინიკაში გადაიყვანეს.

ასპარეზობის მონაწილეებმა დაბადების დღე მიულოცეს შუახვევის გუნდის წევრს საბა ხიმშიაშვილს.



ა(ა)იპ „აბროსეარვიტის“ ახალი ხელმძღვანელი ჰყავს


აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ დირექტორად რაულ თავართქილაძე დაინიშნა. ინფორმაცია ამის შესახებ უწყებამ გუშინ გაავრცელა.

„ახალი დირექტორი თანამშრომლებს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ წარუდგინა. რაულ თავართქილაძე პროფესიით იურისტი. მას სხვადასხვა უწყებაში ხელმძღვანელ პოზიციებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

მინისტრმა თანამშრომლებთან წარდგინის დროს ხაზი გაუსვა რაულ თავართქილაძის გამოცდილებას და პროფესიონალიზმს და წარმატებები უსურვა შემდგომ საქმიანობაში“, - აღნიშნულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შავათ-კვირის ქრონიკა

„ტეგ ბირგელის“ ოპერატორის ცემის ფაქტზე გამოძიება, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის



მუხლით დაიწყო. დაზარალებული გამოითხოვდა დაბარებული. ოპერატორ მურმან ზოიძეს თავს ბათუმში 26 მაისის ბარკის მიმდებარე ტერიტორიაზე დაესხნენ. თვითმხილველების თქმით, ოპერატორს არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით ხუთი ადამიანი გაუსწორდა. „ტეგ ბირგელის“ ინფორმაციით, ოპერატორი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა.

ხულოში 25 წლის მამაკაცს ამწედან ჩამოვარდნილი მანქანა დაეცა. იგი ბათუმში კლინიკა BSM-ში არის მოთავსებული. მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა და რენიამაციულ განყოფილებაში იმყოფება. 25 წლის ბიჭს მრავლობითი ტრავმა აქვს მიღებული და ოპერაცია ჩატარდა. დაზარალებული მამაკაცი, თავდაპირველად ხულოს კლინიკაში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ გადაიყვანა, შემდეგ კი პაციენტის ბათუმში გადაყვანა განხორციელდა. არსებული ინფორმაციით, შემთხვევა ხულოს მუნიციპალიტეტში ჰესის ტერიტორიაზე მოხდა.

ორი - ოქროს, ოთხი - ვერცხლისა და ექვსი ბრინჯაოს მედალი - ასეთია აჭარის ძიუდოისტ გოგონათა ნაკრების მონაგარი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნანი კირკიტაძის სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე, რომელსაც ორი დღის განმავლობაში ხელგაჩაურის სასპორტო სკოლა მასპინძლობდა. შეჯიბრება, რომელშიც 150-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა, ორ ასაკობრივ კატეგორიაში ჩატარდა. საქართველოს ყველა რეგიონის წარმომადგენლების გარდა, ტურნირში აზერბაიჯანელი ძიუდოისტებიც მონაწილეობდნენ. ბათუმელთაგან ჩემპიონები საქართველოს მოქმედი ჩემპიონი მარიკა ფოთელიძე და ანანო მამულაძე გახდნენ, ნანი კირკიტაძის სახელობის თასი კი ტურნირის საუკეთესო იპონისტის თბილისელ ძიუდოისტ ნია ქავანიძეს გადაეცა.

ბათუმში ქვიშის მოედანზე ფუტბოლის მსოფლიო ტურის მორიგე ეტაპი ჩატარდა. სპორტის ეს სახეობა ფეხბურთისა და ფრენბურთის ნაზავს წარმოადგენს. ტურნირში ცხრა ქვეყნის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ, მათგან 12 - ვაჟების, 8 კი - შერეულ წევლი. შეჯიბრებაში საქართველოს, თურქეთის, ირანის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ლიეტუვის, არაბთა გაერთიანებული საამიროების, ისრაელისა და ბრაზილიის ნაკრებები მონაწილეობდნენ. ცნობისთვის, ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია, ისრაელის ნაკრები კი ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული. შეჯიბრება მსოფლიო ტურის მეოთხე ეტაპია, რის შემდეგაც გუნდები თურქეთში გადაინაცვლებენ, ხოლო დასკვნითი, საჩემპიონო ტური ავგისტოში, აზერბაიჯანში გაიმართება.

„სითხო, ნდობა და სიყვარული იყო ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რამას ერთობლივი გამარჯვება განაპირობა“

მარია ხოთაძე 27 48 93

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. ფართო კენჭისყრა ხუთი დღის განმავლობაში, ფაკულტეტების მიხედვით მიმდინარეობდა და მასში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტიურის 7000-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო ორი წლის ვადით 107 წევრით დაკომპლექტდა. სტუდენტთა საერთო კრებამ სითხო, ნდობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რამას ერთობლივი გამარჯვება განაპირობა, და დაქვეყნებულია.



აირჩივნენ?
- მოლოდინი გამართლდა, რადგან სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებამდე გავმართე უამრავი შეხვედრა სტუდენტებთან, ასევე, უნივერსიტეტის სპორტული, კულტურული და შემოქმედებითი წრეების წევრებთან, რომლებმაც ჩემს გუნდში ყოფნა და თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის სურვილიც გამოთქვეს და გაიმარჯვეს კიდევ. გავცანი სტუდენტების საჭიროებებს და შევძელი მათი დაწინაურება, რომ ჩემს გუნდთან ერთად ყველაზე უკეთ შევძლებდი ამ საჭიროებებში მათ დახმარებას. სტუდენტებთან მქონდა როგორც საქმიანი, აგრეთვე მეგობრული ურთიერთობა და აქვე დავამატე, რომ ჩემი თვითმმართველობა მეგობრობით ჩამოყალიბდა. სითხო, ნდობა და სიყვარული იყო ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რამაც ერთობლივი გამარჯვება განაპირობა.

- როგორ ფიქრობთ, გაართმევთ თავს?
- ჩემი ამოცანაა და ახალგაზრდულ სფეროში მომუშავე ადამიანებთან დაგროვილი რესურსი მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ წარმატებულად გავართმევ თავს დაკისრებულ მოვალეობას. სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარეობა არ არის მარტივი საქმე, თუმცა, გულაბილიად გეტყვი, რომ ეს ახალი გამოწვევა გახდა ჩემი საყვარელი საქმიანობა. მიყვარს სირთულეები და აქტიური ცხოვრების წესი და როცა გიყვარს შენი ყოველდღიური საქმე, ყველაფერს იდეალურად გააკეთებ.

- რა პროცესები გელით წინ?
- დაუღალავი შრომა, თვითმმართველობის დეპარტამენტების დაკომპლექტება, თითოეული სტუდენტის საჭიროების ყურადღებით მოხმარება, შეფასება და მათი მოვარება გზების ძიება ჩემს გუნდთან ერთად.

- რას შეცვლიდით სტუდენტების უკეთესი მომავლისთვის?
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მივმართავ ბიუჯეტის გაზრდის თხოვნით, რომელიც მაქსიმალურად ოპტიმალურად გადაინაწილებს სტუდენტების საჭიროებების მიხედვით.

- თქვენი აზრით, რა არის წარმატების ფორმულა?

- ამ შეკითხვაზე ყოველთვის ერთი ძალიან ბრძნული ციტატა მახსენდება - „არ სებობს წარმატების საიდუმლო ფორმულა. ეს თქვენი მომზადების, შრომისმოყვარეობისა და შეცდომების სწავლის შედეგია“. თუ ადამიანს გულწრფელად სურს, მაღალი წარმატება, აუცილებლად ასრულებს სურვილს. არასდროს უნდა დანებდეს, იმდენჯერ უნდა წამოდეს და გააგრძელოს გზა, რამდენჯერაც საჭირო იქნება, ამიტომ ენერჯიკ დიდ როლს იკავებს ჩემს ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად. ქალისთვის ეს განსაკუთრებით გასააზრებელია, ის მზად უნდა იყოს ყველაფრისთვის და უშიშრად შეხედეს ყველა გამოწვევას.

- კიდევ რომელ პროფესიას დაეუფლებოდით სიმომენტით და რატომ?
- ყოველთვის მასწავლებლობაზე ვოცნებობდი, ჩავაბარე კიდევ და მესამე წელია, ამ სპეციალობაზე ვსწავლობ. ძალიან მიყვარს ბავშვები და მათთან ურთიერთობა, თუმცა სხვა პროფესიაზეც მიფიქრია. ალბათ, თუ ამის შესაძლებლობა მექნება, პედაგოგობას მეორე პროფესიასაც შევუთავსებ.

ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა წლების განმავლობაში დაგროვილი ჩემი თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების რეალიზაციისთვის საუკეთესო ადგილია. ჩემი გუნდის მუშაობის უმთავრესი პრიორიტეტი განათლების, მეცნიერებისა და სტუდენტების უფლებათა დაცვის მიმართულებაა. ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი არის უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, რომელიც გაცვლით პროგრამებში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობას გვაძლევს

დებთან, ვიმონაწილეობდი უამრავ ახალგაზრდულ პროექტში როგორც თეორიული კუთხით, ასევე პრაქტიკაში.

- რატომ გადაწყვიტეთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა?
- ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა წლების განმავლობაში დაგროვილი ჩემი თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების რეალიზაციისთვის საუკეთესო ადგილია. ჩემი გუნდის მუშაობის უმთავრესი პრიორიტეტი განათლების, მეცნიერებისა და სტუდენტების უფლებათა დაცვის მიმართულებაა. ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი არის უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, რომელიც გაცვლით პროგრამებში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობას გვაძლევს. ჩემი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა საგარეო ურთიერთობების გაღრმავება-გაუმჯობესება და შედეგად ევროპის სტუდენტთა საბჭოსთან აქტიური თანამშრომლობაა.

- ელდით, რომ სტუდენტები თქვენ

დაეხმარებოდნენ, რადგან სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებამდე გავმართე უამრავი შეხვედრა სტუდენტებთან, ასევე, უნივერსიტეტის სპორტული, კულტურული და შემოქმედებითი წრეების წევრებთან, რომლებმაც ჩემს გუნდში ყოფნა და თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის სურვილიც გამოთქვეს და გაიმარჯვეს კიდევ. გავცანი სტუდენტების საჭიროებებს და შევძელი მათი დაწინაურება, რომ ჩემს გუნდთან ერთად ყველაზე უკეთ შევძლებდი ამ საჭიროებებში მათ დახმარებას. სტუდენტებთან მქონდა როგორც საქმიანი, აგრეთვე მეგობრული ურთიერთობა და აქვე დავამატე, რომ ჩემი თვითმმართველობა მეგობრობით ჩამოყალიბდა. სითხო, ნდობა და სიყვარული იყო ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რამაც ერთობლივი გამარჯვება განაპირობა.

- რას აპირებთ, განსაკუთრებული გეგმები თუ გაქვთ?
- ჩემი მოვალეობაა, ახალგაზრდა თაობას გავუმრავალეფეროვნო სტუდენტური ცხოვრება, შესაბამისად, მე და ჩემი გუნდი ვმუშაობთ მიმდინარე წლის აქტივობებზე. მაქსიმალურად ჩავრთავთ თითოეულ სტუდენტს ყველა პროექტსა თუ ღონისძიებაში, რადგან დღეს ახალგაზრდების ხმა მნიშვნელოვანია, სწორედ აქედან გამომდინარე, მოდის ცვლილებები უნივერსიტეტში, რაც კარიერულ განვითარებას უწყობს ხელს. ვფიქრობ, უნივერსიტეტის თითოეულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, რომ მეტად ჩაერთოს გაცვლით პროგრამებში. მოგესხენებათ, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი ერთ-ერთი გამორჩეულია გაცვლით პროგრამების კუთხით. ახალგაზრდები უნდა ვიყოთ ჩართულები ყველა საგანმანათლებლო, სპორტულ თუ საერთაშორისო პროექტში როგორც ჩვენს ქვეყანაში, აგრეთვე საზღვარგარეთ, ეს, პირველ რიგში, დიდი ამოცანაა იქნება, მეტიც - ჩვენს უკეთეს მომავალს შეუწყობს ხელს.

თურქეთიდან საქართველოში 400-ზე მეტი დასახელების პრეპარატი შემოდის

შობიანი ღამე 579 25 25 72

თურქეთიდან იმპორტირებული 50-მდე დასახელების ძვირად ღირებული მედიკამენტების რაოდენობა 400-მდე გაიზარდა, - ამის შესახებ გაზეთ „აქარა“ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში განუცხადეს.



ეს სისხლმარღვების სამკურნალო პრეპარატი, ჩვენთან 23 ლარი და 30 თეთრი ღირს, იგივე შემცველობის სამკურნალო პრეპარატი, რომელიც გერმანული წარმოებისაა, 85 ლარის ღირებულების გვაქვს. დიდი სხვაობაა ფასებს შორის, თუმცა სამკურნალო თვისებები ორთავეს ერთნაირი აქვს. ეს დიდი შედეგია ნებისმიერი ბენეფიციარისთვის“, - გვითხრა „აქარის“ ფარმას“ ფარმაცევტმა ლეა მინაძემ.

PSP-ს ადმინისტრაციაში ამბობენ, რომ თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტების ფასი საქართველოში 2-3 ლარით ნაკლებია, ვიდრე მის მწარმოებელ ქვეყანაში. როგორც ცნობილია, მთავრობის გადაწყვეტილებით, თურქული წარმოების მედიკამენტები, „აქარისა“ და PSP-ს გარდა, სხვა სააფთაპო ქსელებშიცაა ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, მოქმედებს ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი 15-05, სადაც ბენეფიციარს შეუძლია, ნებისმიერ მედიკამენტზე მიიღოს სრული ინფორმაცია. შეგახსენებთ, რომ თურქეთის ფარმაცევტული ბაზრის გახსნის ხელშეწყობა ძალაში მიმდინარე წლის 17 იანვარს შევიდა, მედიკამენტები სააფთაპო ქსელში 28 თებერვლიდან გამოჩნდა. ისინი 2022 წლის მარტიდან დღემდე 155 000-ზე მეტმა მოქალაქემ შეიძინა და ძველი ფასებით 74 მილიონის ნაცვალად... 23 მილიონი გადაიხდა.

არის შემცირებული“, - განაცხადეს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში.

მოსახლეობის მხრიდან დიდი მიმართვა არის მიუხედავად, ქსარელტოს, გალფუსმეტის, კონკორის და სხვა მრავალი მედიკამენტის დეფიციტს სააფთაპო ქსელები არ განიცდიან. აფთაპებში აცხადებენ, რომ უმეტესად მოთხოვნა გულ-სისხლმარღვთა და შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო მედიკამენტებზეა, რაც მარაგში საკმარისი რაოდენობით აქვთ. რაც შეეხება ფასებს, აქ ამბობენ, რომ იმპორტირებულ პრეპარატებს მინიმალურ ფასებში ყიდიან, არ ხდება ფასების ხელშეწყობის მატება. „მედიკამენტები საკმარისი რაოდენობის გვაქვს, ძირითადად, მოთხოვნა გულ-სისხლმარღვთა და შაქრიანი დიაბეტის პრეპარატებზე. თუ რა პრეპარატი ჩვენთან, ამას მომართვიანობა განსაზღვრავს. მაგალითად, გალფუსმეტზე დიდი მოთხოვნა.

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი საქართველომ და ბოსნია-ჰერცეგოვინამ უნდა მიიღონ

უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი მხარს უჭერს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას არა მხოლოდ უკრაინისა და მოლდოვისათვის, როგორც ეს ევროკომისიის რეკომენდაციაშია, არამედ საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინასთვისც. ორბანი ევროსაბჭოს სხდომის წინ ბელგიის, ბულგარეთის, ესტონეთის, ლუქსემბურგის და მალტის ლიდერებთან, ასევე ევროპული საბჭოს ხელმძღვანელ შარლ მიშელთან ერთად ვიდეოკონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. შეხვედრაზე უნგრეთის პრემიერ-მინისტრი დაუთანხმა ევროკომისიის რეკომენდაციას უკრაინისა და მოლდოვისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე, თუმცა აღნიშნა, რომ ბუდაპეშტი „და ევროკავშირის რამდენიმე სხვა წევრი“ მიიჩნევს, რომ საქართველომ და ბოსნია-ჰერცეგოვინამც უნდა მიიღონ სტატუსი.

აპირად ბუნიძე

